საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1397 2016 წლის 12 ივლისი ქ. თბილისი

GG-P-SAD ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის, GG-P-SAE ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის „ჭარბი თავდაცვითი საქონლის გრანტის თაობაზე" და მათთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს GG-P-SAD ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტისა და GG-P-SAE ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის „ჭარბი თავდაცვითი საქონლის გრანტის თაობაზე" ხელშეკრულებები.

2. „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა განახორციელოს ამ განკარგულების პირველ

პუნქტში გათვალისწინებული ხელშეკრულებებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტებით განსაზღვრული კატარღების, მარაგნაწილების, აღჭურვილობის, პუბლიკაციებისა და სხვა საქონლისა და მომსახურების მიღება, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის გადაცემის მიზნით.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისგან GG-P-SAE ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის „ჭარბი თავდაცვითი საქონლის გრანტის თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კატარღებისათვის საჭირო შეიარაღების, აღჭურვილობის, საწვავ-საპოხი მასალისა და სხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის გადაცემის მიზნით.

4. იმის გათვალისწინებით, რომ ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად ქონების საბოლოო მიმღები არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, აგრეთვე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში

მოქმედ სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) საქმიანობის მიზანს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარების ხელშეწყობა, დაევალოს მომსახურების სააგენტოს, ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება, 3 195 163 აშშ დოლარის ოდენობით, განახორციელოს ამერიკულ მხარესთან ავანსის სახით, პირდაპირი ანგარიშსწორების გზით, საკუთარი ბიუჯეტიდან.

5. „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, GG-P-SAE ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან გასაფორმებელი „ჭარბი თავდაცვითი საქონლის გრანტის თაობაზე“ ხელშეკრულების ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების მხარე გათავისუფლდეს ამავე წესის მე-10-მე-13 მუხლებით დადგენილი მოთხოვნებისგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**